დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე

წევრები:

მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240890924

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისი
ფაქტობრივი მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისი
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2450
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ruisi3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551099770

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 4 მარტის ბრძანება MES 9 26 0000262439
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 1 და 2 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, ერთი შენობა-ნაგებობაში, ქარელი, სოფელი რუისი
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, ერთი შენობა-ნაგებობაში, ქარელი, სოფელი რუისი
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, ერთი შენობა-ნაგებობაში, ქარელი, სოფელი რუისი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომელი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. გარდა ამისა, სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე. ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. ვიზიტის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----420------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	1. *სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში 20.01.2026-20.01.2027 უზრუნველყოს სკოლის ეზოს სრულად შემოღობვა.* 2. *სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული, არაუმეტეს 12 თვის პერიოდში, უზრუნველყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაში N000189426, (17.03.2026) მითითებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება.*

ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული, არაუმეტეს 12 თვის პერიოდში, სკოლაში უზრუნველყოს პანდუსის ან/და ლიფტის მოწყობა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული, არაუმეტეს 12 თვის პერიოდში, სკოლაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.2.1.	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*სკოლას ეძლევა რჩევა: რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამამტკიცებელი და მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ერთმანეთისგან იყოს გამიჯნული*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლას ეძლევა რჩევა მომავალში საკონკურსო კომისიები დააკომპლექტოს კანონმდებლობის სრული დაცვით (იხ. ინდიკატორის აღწერა).*
ინდიკატორი N3.2.1.4.	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან*	*სკოლას ეძლევა რჩევა: დუბლირებისა და ურთიერთგამომრიცხავი რეგულაციების პრევენციის მიზნით, უმჯობესია სკოლამ გააერთიანოს „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტები.*
ინდიკატორი N3.4.1.8.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას ეძლევა რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*სკოლას ეძლევა რჩევა: დაამუშავოს ბიბლიოთეკისთვის გადაცემული წიგნადი ფონდი საბიბლიოთეკი წესის შესაბამისად, აღრიცხოს და გაატაროს საინვენტარო წიგნში*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი N4.2.1.3.	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სასურველია, სკოლამ უფრო ინტენსიურად და მიზანმიმართულად დანერგოს რემედიაციის მიდგომა სასწავლო პროცესში, სასურველია პროგრამა მოიცავდეს მიზანმიმართულ და სტრუქტურირებულ აქტივობებს, რომლებიც მიმართული იქნება საგაზისო ცოდნის გამყარებასა და კონკრეტული სირთულეების ეტაპობრივად დაძლევაზე.*
ინდიკატორი 4.2.2.2	*სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენელებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით*	*სასურველია კარიერული განვითარების პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესება, სხვადასხვა დამატებითი აქტივობის დანერგვით. გაფართოვდეს თანამშრომლობა როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს სასწავლებლებთან, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო მრავალფეროვან გარემოში გაეცნონ სხვადასხვა პროფესიას. პრაქტიკული აქტივობების, ან მოკლევადიანი პრაქტიკული კურსების დანერგვა მნიშვნელოვნად გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს რეალური სამუშაო გარემოს უკეთ გააზრებას. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენებაც — ონლაინ პლატფორმები, ვირტუალური ტურები და დისტანციური შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას. გარდა ამისა, სასურველია მშობლების ინფორმირებულობის ამაღლება სპეციალური ტრენინგებისა და შეხვედრების საშუალებით, რათა მათ უფრო ეფექტურად შეძლონ შვილების მხარდაჭერა პროფესიული არჩევანის პროცესში.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	
ინდიკატორი N2.1.2.1	*დაწყებითი*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *სასურველია III-IV კლასის კურიკულუმში სასწავლო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. ასევე დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*დაწყებითი* *საბაზო* *საშუალო*	***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთ ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსურ ბუნების დავალების ფარგლებში.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*დაწყებითი* *საბაზო* *საშუალო*	***სპორტი*** *სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი. ამ თემაზე პედაგოგებთან საუბრის დროსაც გამახვილდა ყურადღება.*
ინდიკატორი ***N 2.1.2.1***	დაწყებითი	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმებშო სასურველია თემები შეესაბამებოდეს, ბუნებისმეტყველების სტანდარტში მოცემულ სავალდებულო თემებს..*
ინდიკატორი ***N 2.1.2.2***	*დაწყებითი* *საბაზო* *საშუალო*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *1 II კლასის ბუნებისმეტყველებაში მიზანშეწონილია საკითხების სვეტში მოცემული კომპლექსური დავალების იდეები გადავიდეს შესაბამის - დავალებების სვეტში. 2 საბაზო და საშუალო საფეხური ქიმისა და ბიოლოგიიის კურიკულუმებში სასურველია დაკონკრეტდეს*
ინდიკატორი N2.1.2.2	*დაწყებითი* *საბაზო* *საშუალო*	***უცხოური ენები :*** *1. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული 2. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში მკაფიოდ*

		იქნეს წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების მიზნობრიობის უფრო ნათლად წარმოჩენას.
ინდიკატორი N2.1.2.3	*დაწყებითი საგაზო საშუალო*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *მიზანშეწონილია კურიკულუმის ცხრილებში აისახოს კვლევითი დავალებები, რომლებიც რეალურ ლაბორატორიულ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს. სასურველია, დოკუმენტაციას დაემატოს ამ დავალებებისთვის საჭირო სპეციფიკური რესურსები: ექსპერიმენტის ინსტრუქციები, რეაქტივებისა და ხელსაწყოების ნუსხა, მანიპულატივები და სხვა დამხმარე მასალები.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*დაწყებითი საგაზო საშუალო*	***სპორტი:*** *სასურველია კურიკულუმშიც აისახოს ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც მასწავლებლები ახორციელებენთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა)*
ინდიკატორი N2.1.2.5	*დაწყებითი საგაზო საშუალო*	***მათემატიკა:*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*დაწყებითი საგაზო საშუალო*	***უცხოური ენები:*** *სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები მიემართებოდეს თემატურ ერთეულებს და ზუსტ კოლერაციაში მოვიდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებზე.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*საგაზო საშუალო*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *უკეთესი იქნება რომ, ბიოლოგიის შემაჯამებლისთვის შეიქმნას ანალიტიკური რუბრიკა ნაცვლად ჰოლისტურისა (თითოეული დავალებისთვის შეფასების კრიტერიუმით, შესაბამისი აღწერილობით და მიეთითოს ქულა).*

ინდიკატორი N2.2.2.1	*საგაზო საშუალო*	***სახელმწიფო ენა:*** *მიზანშეწონილია, მეათე-მეთერთმეტე კლასების კურიკულუმებში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს დამატებითი რესურსები (მათ შორის, ციფრული), რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას.*
ინდიკატორი N2.2.2.3	*საგაზო საშუალო*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასწავლო გარემოსა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სპეციალური გამწოვი კარადა ან ვენტილაციის სისტემა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან მიმართებაში, შედეგად გამოვლენილი ხარვეზი1.1.1.3.; 3.1.2.3.; 3.2.1.4.; 3.4.1.7. და 3.4.1.1. (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება) გადავიდა სრულ შესაბამისობაში, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზის სტანდარტთან შესაბამისობის მტკიცებულება. ხოლო 3.4.1.1. ინდიკატორის შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, რადგან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. რომელშიც აქტივობის შესრულების პერიოდად მითითებულია არა კონკრეტული თარიღი, არამედ პერიოდი 2026 წლის აპრილი - 2027 აპრილი. ამის გამო, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული,აქტივობა შეასრულოს არაუმეტეს 12 თვის პერიოდში. გარდა ამისა, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა სკოლის მიერ ექსპერტთა რჩევების გათვალისინების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საიდანაც ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა 1.1.1.1. და 3.3.1.4. ინდიკატორში მიცემული რჩევები და ამოიღო რჩევათა ნუსხიდან. რაც შეეხება 3.5.1.1. ინდიკატორის შესახებ სკოლის მიერ გადმოგზავნილ მტკიცებულებას, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მიიღო ინფორმაციის სახით, თუმცა ამის შესახებ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რჩევა გაცემული, ხოლო 3.5.1.3. ინდიკატორის რჩევის შესრულების შესახებ სკოლის მიერ გადმოგზავნილი მტკიცებულება ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია არასაკმარისად, შესაბამისად ამ ინდიკატორში რჩევა დარჩება.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას *გააზრებული* აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლას (შემდგომში „სკოლა“) შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც, არ ეწინააღმდეგება მოქმედ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა: *მოამზადოს აქტიური და სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნება, რომელიც იქნება ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი, ტოლერანტული და გარემოზე მზრუნველი მოქალაქე. სკოლამ ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში.* **სკოლას მიეცა რჩევა: გადახედოს მისიის ბოლო ნაწილს (სკოლამ ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში), ასეთი გრძელვადიანი მიზანი შესაძლოა მიუღწეველი აღმოჩნდეს და ხომ არ აჯობებს უფრო რეალისტური გრძელვადიანი მიზანი დაისახოს სკოლამ.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა 2026 წლის 24 აპრილის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიN2, რომელშიც ჩანს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და მოახდინა სკოლის მისიის კორექტირება მათთვის სასურველი ფორმულირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს „მოამზადოს აქტიური და სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნება, რომელიც იქნება

ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი, ტოლერანტული და გარემოზე მზრუნველი მოქალაქე...“, საიდანაც ჩანს, რომ სკოლა პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, ხედვით გაცხადებულია, რომ პიროვნულ განვითარებას სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს „ინკლუზიური გარემოს შექმნით“, რაც თავისთავად უსაფრთხო გარემოსაც გულისხმობს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ დამტკიცებულ „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ (შემდგომში მეთოდოლოგია) განსაზღვრულია, რომ (მუხლი 2): „სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით“; პროცესში ჩართულ მხარეებად განსაზღვრულია „სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები)“; „მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისთვის დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრები „შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან“ (მუხლი 5 და 6); მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება ხდება „სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით“; ინფორმაციის შეგროვება ხდება სასკოლო საზოგადოებისგან ისეთი მეთოდებით, როგორიცაა „მოსაზრებათა გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა“ (მუხლი 7 და 8). ამის შემდეგ იქმნება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, წარედგინება დირექტორს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო შეთანხმებულს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

სკოლას საავტორიზაციო დოკუმენტებთან ერთად გადმოგზავნილი ჰქონდა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, რომელიც სკოლამ შექმნა 2025 წელს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების განსახორციელებლად (ბრძანება N1/კ-31ა, 28.11.2025), მაგრამ 2023 წლის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, რომლითაც სკოლამ შეიმუშავა მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლას საავტორიზაციოდ გადმოგზავნილი არ ჰქონდა. ვიზიტის დროს სკოლას ეთხოვა წარმოედგინა ან ცენტრის გავლით გადმოეგზავნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მტკიცებულებები სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიაში გაწერილი მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ: 1. სამუშაო ჯგუფის შექმის ბრძანება (მეთოდოლოგია, მუხლი 6, პუნქტი 1) მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისთვის - 2023 წლის; 2. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (მეთოდოლოგია, მუხლი 6. პუნქტი7); 3. სამეურვეო საბჭოს ოქმი - 2023 წლის, რომელშიც შეთანხმებული იქნებოდა მისია ხედვა და ღირებულებები (მეთოდოლოგია, მუხლი 8, ე) ქვეპუნქტი); 4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი, რომელშიც დამტკიცებული იქნებოდა მისია, ხედვა და ღირებულებები (მეთოდოლოგია, მუხლი 8, ვ) ქვეპუნქტი); რომლებიც სკოლამ

ვერ/არ გადმოაგზავნა. ამიტომ, მიუხედავად გარკვეული დოკუმენტაციის წარმოდგენისა (სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის კითხვარების და 2025 წლის სამუშაო ჯგუფის ბრძანება), მტკიცებულებათა სანდოობისა და საკმარისობის პრინციპიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება არასაკმარისია, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო არგუმენტირებული პოზიციის გადმოგზავნამდე.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა: 1) 2023 წლის 31 ივლისს გამოცემული ბრძანება N MES 1 23 ბა N1/კ-20 „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შედგენაზე და შემდგომ მის დამუშავება განხორციელებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ“; 2) წინა პუნქტში აღნიშნული სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 1 სექტემბრის სხდომის ოქმი N1 და 3 სექტემბრის N2 ოქმები შესაბამისად სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავების და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავების დღის წესრიგებით; 3) 2023 წლის 7 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N7 ოქმი სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) განხილვა/შეთანხმების შესახებ; 4) 2023 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N5 ოქმი სკოლის ფილოსოფიის დამტკიცების შესახებ.
ამ გარემოების გათვალისწინებით ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად (მუხლი 2): „სკოლა... მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას“. გარდა ამისა, მოცემულია ინფორმაციის გაზიარების კონკრეტული მექანიზმები და სქემა (მუხლი 12), რომლის მიხედვითაც მექანიზმებია: ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა (ინტერაქტიული კომუნიკაცია), საინფორმაციო დაფა, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომები. სკოლამ წარმოადგინა გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულება - შევსებული კითხვარები მშობლებისგან, მოსწავლეებისგან და თანამშრომლებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლა“ შეესაბამება მის სტატუსს და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებგვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/2450

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (შემდგომში „მეთოდოლოგია“), რომელიც აღწერს სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესებს; განსაზღვრავს ამ დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცებისთვის საჭირო ეტაპებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის პროცესს; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემადგენელ ნაწილებს; დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმაში ჩართული მხარეები - სასკოლო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი; დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ძირითადი მიდგომები, რომელსაც სკოლა იცავს სტრატეგიული დაგეგმვისას. ეს მიდგომებია: თანამონაწილეობა: <u>სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება</u>; გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც ასახულია სკოლის სტრატეგიული მიზნები, ხოლო მიზნები ჩაშლილია ამოცანებად, ის წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან.. სტრატეგიული დაგეგმვა სკოლამ განახორციელა SWOT ანალიზის და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპების დაცვით, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტის შემუშავებას და დირექტორისთვის წარდგენას, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს პედსაბჭოს - განსახილველად, ხოლო განხილულ გეგმებს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (N1/კ-31ა, 28.11.2025) და პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური. მიმდინარე სასწავლო წელს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი, 2024 წლის 12 ივნისის, ვერსიის დამტკიცებასთან დაკავშირებით სკოლამ განახორციელა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025/26 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ SWOT ანალიზს. ერთწლიანი გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ამოცენების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების ვადები და რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება „სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი:
- სტრატეგიული გეგმა (2023 -2030 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025/26 სასწავლო წლები).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი მოიცავს მონიტორინგის და შეფასების პროცესს. კერძოდ, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასება ხორციელდება ყოველი წლის ბოლო, ხოლო სტრატეგიული გეგმის - ყოველ 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დროს ხდება პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარდგენა და ცხრილში გაკეთება შესაბამისი აღნიშვნის „შესრულდა“, „არ შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო და მათ მონიტორინგისაც სამეურვეო საბჭო ახორციელებს, დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგის ასეთი სისტემა მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის რისკს. **სკოლას ეძლევა რჩევა: რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამამტკიცებელი და მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ერთმანეთისგან იყოს გამიჯნული**.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-11 მუხლის მიხედვით სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სამი წლის შემდეგ, ეს ვადა ჯერ არ იყო გასული ვიზიტის დროს. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას - სკოლამ განახორციელა 2024/2025 სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობას მიანიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. სკოლამ წარმოადგინა და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებია განხილული და ცხრილი, სადაც აღნიშნული სტატუსებია მინიჭებული თითოეულ აქტივობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი არის ანგარიშვალდებულება, რომლის მიხედვითაც, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობას, მათთვის განკუთვნილი პერიოდების დაცვით, სკოლა უზრუნველყოფს მათი სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომელშიც განხილულია 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები და ამავე სხდომაზე განხილულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის განხილვისას ნათქვამია, რომ ახალ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ გასული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ცხრილი შესრულების სტატუსის მინიჭებით;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2450

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს. წესდებაში მოცემულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებიც. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 ნოემბრის N2-79 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც გარდა ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულებისა, დამატებით მოიცავს სხვა სტრუქტურულ ერთეულების ფუნქციებსაც. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრუქტურა და საშტატო განრიგი. ამასთან ერთად, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის თანამდებობრივი ისტრუქციები და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის სამეურვეო საბჭოს, 2023 წლის 14 სექტემბრის N6 სხდომაზე, დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლის პირველივე მუხლში გაცხადებულია, რომ <u>სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და სხვა სამართლებრივი აქტებით</u>.

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ აღწერს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ამოცანები, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, კადრების მოზიდვა და შერჩევა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, პროფესიული განვითარება და სახვა რეგულაციები. გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (მუხლი 2, პუნქტი 4) აღწერს მონიტორინგის მნიშვნელობას, რათა არ მოხდეს სასურველი კურსიდან გადახვევა და მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება, რაც საჭიროებების პრევენციისკენ

მიუთითებს. გარდა ამისა მე-5 მუხლის ვ) პუნქტის თანახმად სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ანალიზის საფუძველზე, რაც ეხმარება ინტერვენციების დაგეგმვაში. ამასთან ერთად სკოლას შეინაგანაწესში გაწერილი აქვს „სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი (მუხლი 4), რომელიც ასევე ადასტურებს, რომ სკოლა პერსონალის მართვის პოლიტიკაში ითვალისწინებს პრევენციულ და ინტერვენციულ პოლიტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და ობიექტურ შერჩევას. გარდა ამისა, „2025-2026 სასწ.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში“ (ადამიანური რესურსის განვითარება) პირდაპირ არის გაწერილი აქტივობა: „ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება“. ამავე პუნქტში პასუხისმგებელ პირებად მითითებულნი არიან დირექტორი და საკონკურსო კომისია, ხოლო მტკიცებულებად — შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა ვაკანსიის გამოცხადება/შერჩევის მასალები, რომელშიც საკონკურსო კომისია შექმნილია კანონმდებლობის მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით, კერძოდ, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების მე-5 მუხლის შესაბამისად, „<u>კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, ხოლო საჯარო სკოლის კომისიის წევრად აგრეთვე უნდა განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.“ (აღნიშნული რეგულაცია მოქმედებს 2022 წლის 20 მაისიდან, ბრძანება N61/ნ)</u>. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022 წლის 8 სექტემბრის N1/კ-40 ბრძანებაში საკონკურსო კომისიაში, რომელიც 5 წევრისაგან შედგება, ჩართულია სკოლის სამი თანამშრომელი და 5 სავალდებულო გარეშე პირიდან მხოლოდ 2, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი და სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი. **სკოლას ეძლევა რჩევა მომავალში საკონკურსო კომისიები დააკომპლექტოს კანონმდებლობის სრული დაცვით.**

სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე რომლებშიც სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, გარდა 1 თანამშრომლისა, რომლის პირად საქმეში არ დევს კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ“ და 6 თანამშრომელს არ აქვს "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობა. **კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობების წარმოუდგენლობა დასაქმების დროს, წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას, რაც სხვა შერჩეულ კანდიდატთან მიმართებაში, რომელმაც სრულყოფილად წარმოადგინა მოთხოვნილი ცნობები, ობიექტურიბის პრინციპის დაცვად (ინდიკატორის ერთ-ერთი მოთხოვნა) ვერ ჩაითვლება.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა სკოლის იმ 6 თანამშრომელზე გაცემული **ცნობა "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" და ერთ თანამშრომელზე გაცემული ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ“.**

ამ გარემოების გათვალისწინებით ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე დაკმაყოფილებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექთნის შერჩევისას და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შემთხვევაში, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი. რაც შეეხება დანარჩენი თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სკოლას გაწერილი არ აქვს, ამიტომ შესაბამისობის დადგენა ვერ ხერხდება, თუმცა მათი პირადი საქმეების შესწავლით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი შეძლებენ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას და სკოლას პრობლემები არ ექნება. სკოლას არ ჰქონდა, მაგრამ ვიზიტის დროს დაამტკიცა დოკუმენტი „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (ბრძანება N2-18, 02.04.2026). პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დამტკიცებული დოკუმენტის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვა ეფუძნება მისი სტრუქტურული ერთეულების - კოლეგიური ორგანოების მუშაობის პრინციპებს (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი სკოლის წესდებაშია გაწერილი. გუნდურობისა და მონაწილეობითი კულტურითაა შემუშავებული სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. გუნდურობის პრინციპზეა აგებული პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა კოლეგიური ერთეულების მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

„ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ გათვალისწინებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტები, სადაც მონაწილეობა ეხმარება თანამშრომლებს არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში/გაზიარებაში. ერთწლია სამოქმედო გეგმაშიც გათვალისწინებულია აქტივობა: „წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების/შეხვედრების ჩატარება“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკა“;
- ერწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ.
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას სკოლის ორი დოკუმენტი ითვალისწინებს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. პირველ მათგანში მოცემულია ადამიანური რესურსების განვითარების სტრუქტურული სქემა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანური რესურსების შეფასებას. მეორე დოკუმენტის მე-6 მუხლში აღნიშნულია, რომ „სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება)“. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლებიც დადგენილი გეგმის მიხედვით ესწრებიან მასწავლებლებს და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

საჭიროებების გამოვლენის შემდგომი ეტაპი ასახულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში, სადაც ნათქვამია, რომ თუ შეფასებისას გამოვლინდა რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარება ადგილობრივი რესურსებით, ან მოწვეული

სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

წინა ინდიკატორში აღწერილ შემთხვევაში, როცა სკოლა ცდილობს მასწავლებელთა საჭიროებიდან გამომდინარე ადგილობრივი თუ მოწვეული სპეციალისტების ტრენინგის ცატარებას და ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში აღწერილი რეგულაციის მიხედვით, რომლის თანახმად სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, ჩანს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი თანამშრომლის სკოლაში მიღების დროს, რა თქმა უნდა აცნობენ მას თავის სამუშაო გარემოს და ფუნქციებს, თუმცა ამის დამადასტურებლად სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება და არც ინტეგრაციის ამსახველი წესი ან რეგულაცია აქვს სკოლას შემუშავებული. ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა 2026 წლის 3 აპრილის MES 8 26 ბა N1/კ-06 ბრძანება „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლის პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ და თვით ეს დოკუმენტი, რომლის მე-8 მუხლით განსაზღვრულია „ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაცია“. ამ გარემოების გათვალისწინებით ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ისედაც ჰქონდა შემუშავებული მსგავსი რეგულაციის დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

სკოლას ეძლევა რჩევა: დუბლირებისა და ურთიერთგამომრიცხავი რეგულაციების პრევენციის მიზნით, უმჯობესია სკოლამ გააერთიანოს „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება. გარდა ამისა მე-5 მუხლში მოცემულია, რომ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ღონისძიებები. სკოლამ წარმოადგინა კიდეც მასწავლებელთა სერთიფიკატები და მასწავლებელთა წახალისების შესახებ დირექტორის ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკა“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“;
- დირექტორის მიერ წახალისების შესახებ გამოცემული ბრძანებები;
- სამინისტროს მიერ გაცემული თანამშრომელთა სერთიფიკატები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ რომელშიც ჩაწერილია, რომ „შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A“; დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „წინამდებარე მექანიზმი არეგულირებს... სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.“ და „ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას.“ .

ინდიკარორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ერთიანი დოკუმენტი სადაც თავმოყრილია და აღწერილია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა მის სხვადასხვა დოკუმენტებში აღწერილია ეს პროცესები. კერძოდ

მმართველობითი პროცესები - სტრატეგიული დაგეგმვის მეტოდოლოგიაში მითითებულია, რომ მართველობით პროცესებს განეკუთვნება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპები (მუხ.1);

დამხმარე პროცესები - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით „სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, „სკოლა მუდმივად ახორციელებს... ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.“ - ეს კი დამხმარე პროცესებია, ისევე როგორც სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესიც;

ძირითადი პროცესები - სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა სკოლას აღწერილი აქვს დოკუმენტში სასკოლო კურიკულუმი და „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. ამ უკანასკნელში ასევე მითითებულია, რომ „სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან“ და შემდეგ აღწერილია რას შეიძლება ეწოდოს დამხმარე და მმართველობითი პროცესები (მუხ. 10).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის წესდების მე-5 მუხლის, 1-ლი, თ) ქვეპუნქტის მიხედვით სამეურვეო საბჭო განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მ) ქვეპუნქტის მიხედვით სკოლის დირექტორი გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-15 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის განხილვის ზოგად რეგულაციებს (როდის იხილავს საჩივარს დირექტორი, როდის სამეურვეო საბჭო) და ვადებს, ასევე განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში არ განიხილება საჩივარი, თუ საჩივარში არ არის მითითებული რეკვიზიტები. გარდა ამისა შინაგანაწესის 22-ე მუხლით მოკლედ აღწერილია განცხადების საჩივრის განხილვის წესი. ამასთან ერთად, სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ (21.11.2025, N2-78) რომელშიც დაკონკრეტებულია და აღწერილია გასაჩივრების წესი ცალკეული შემთხვევებისთვის ვადებისა და სპეციფიკის მითითებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას არ ჰქონდა გადმოგზავნილი და ვიზიტის დროს გადმოაგზავნა word-ის დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“, რომელსაც არ ახლავს ინფორმაცია დამტკიცებიის შესახებ, ან თუ დამტკიცებულია როდის და <u>მოქმედებს</u> თუ არა ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველია. **სკოლას ეძლევა რჩევა დროულად დაამტკიცოს სკოლაში ასამოქმედებელი დოკუმენტები.**

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა 2026 წლის 6 აპრილის ბრძანება MES 9 26 ნება N2-20 „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლაში

პერსონალის, მოსწავლეების, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის წესდება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ (N2-83,ნ19.12.2025). დოკუმენტის მიხედვით სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. მათგან შეიძლება გამოვარჩიოთ სკოლის ვებგვერდი და საინფორმაციო დაფა. ასევე, სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება ხდება მშობელთა კრებებზე. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საზოგადოების მხრიდან წინადადებების განხილვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს იმავე პროცედურებ, რომელი პროცედურებითაც ხდება განცხადებებისა და საჩივრების განხილვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში საკმაოდაა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც წარმომადგენლობითია და სასკოლო საზოგადოების წევრებს ეძლევათ მათში ჩართვის შესაძლებლობა. კერძოდ, სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

ა) ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში მოქმედებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესი. გარდა ამისა სკოლას ჰყავს სადღეღამისო დარაჯები. ხოლო დღის განმავლობაში მასწავლებლები მორიგეობენ სკოლის დერეფნებში; საგულისხმოა, რომ სკოლის უსაფრთხოებაზე უარყოფითად აისახება ის გარემოება, რომ ეზოს ტერიტორია მხოლოდ ნაწილობრივაა შემოღობილი. საგულისხმოა, რომ სკოლას გააზრებული აქვს ამ ფაქტის აქტუალობა, რის გამოც მის მიერორჯერ ოქნა გამოგზავნილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა პირველად ავტორიზაციის დოკუმენტაციასთან ერთად, მეორედ ვიზიტის დროს გამოგზავნილ დოკუმენტაციასთან. ორივე შემთხვევაში გეგმაში შეტანილია ეზოს შემოღობვის აქტივობაც. პირველ შემთხვევაში სკოლას აღნიშნული პრობლემის მოგვარების ვადად განსაზღვრული ჰქონდა პერიოდი 20.01.2026-20.01.2028, თუმცა მეორედ გამოგზავნილში შეცვალა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის თარიღად განსაზღვრა 20.01.2026-20.01.2027 პერიოდი. აღნიშნულის გარემოების გამო **ინდიკატორის ამ ნაწილის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიაში გაგზავნილი წერილი (03.04.2026, MES 2 26 0000403237) რომელშიც სთხოვს დახმარებას ეზოს შემოღობვისა და სხვა პრობლემის მოგვარებისთვის, რაზეც მერია პასუხობს წერილით (წერილის ნომერი 104-1042611810, 28.04.2026), რომელშიც მერია ატყობინებს, რომ „2026 წელს ქარელის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში, რომელიც

გათვალისწინებულია სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად, ქარელის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პირველ ეტაპზე გამოკვეთილი სამუშაოების განსახორციელებელად საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ გამოიკვეთება გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში მორჩენილი ეკონომიები, რის შემდგომაც გათვალისწინებული იქნება თქვენი სკოლისთვის მოსაგვარებელი საკითხები 2026-2027 საბიუჯეტო წლებში“

ამ გარემოების გათვალისწინებით იმედია სკოლა მოაგვარებს პრობლემას შესაბამისობის გეგმაში მითითებულ 20.01.2026-20.01.2027 პერიოდში და ინდიკატორის მოთხოვნები დარჩება მეტწილ შესაბამისობაში

ბ) სკოლას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (N1/კ-35, 09.12.2025) და უფლებამოსილ ორგანოსთან აქვს შესათანხმებლად გაგზავნილი (წერილი MES 5 25 0001756590, 09.12.2025) თუმცა ვიზიტის დრომდე ჯერ შეთანხმების წერილი სკოლა არ აქვს მიღებული, **რის გამოც ინდიკატორის ამ ნაწილის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო არგუმენტირებულ პოზიციის გამოგზავნამდე**.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა სკოლის სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის წერილი MIA 9 26 01206674, 07.04.2026, რომელშიც სამსახური ატყობინებს სკოლას, რომ სკოლის მიერ გადაგზავნილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.
ამ გარემოების გათვალისწინებით ინდიკატორის ამ ნაწილის ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

გ) სკოლა შემოწმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, საიდანაც მიღებული აქვს „სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N 535. აღნიშნულ მიწერილობაში მითითებულია ხარვეზები. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს გააგზავნა წერილი (MES 5 26 0000398834, 02.04.2026), ადგილობრივ რესურსცენტრში, რომლითაც ატყობინებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების შესახებაც.

დ) სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის **დასკვნა N000189426**, (17.03.2026) რომელშიც აღნიშნულია, რომ „...სკოლის შენობებს დაზიანებათა კლასიფიკაციის მიხედვით გააჩნია ძირითადად I-II, ხოლო ლოკალურად, ცალკეულ ადგილებში III ხარისხის დაზიანებები. ასეთი დაზიანების მქონე შენობების ტექნიკური მდგომარეობა ფასდება **არადამაკმაყოფილებლად**, თუმცა ექვემდებარებიან აღდგენა რეაბილიტაციას. იმისათვის, რომ შენობების ექსპლუატაცია გახდეს ესაფრთხო, საჭიროა მათ ჩაუტარდეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები ...“ **და ჩამოთვლილია 5 სახის სარიაბილიტაციო სამუშაო და მითითებულია, რომ აღნიშნული სამუშაოების ჩატარებამდე უნდა შესრულდეს დეტალური კვლევის შედეგების მიხედვით დამუშავებული პროექტით.** . დასკვნის ბოლოს დაფიქსირებულია, რომ „...ვიზუალური კვლევის დროს დაფიქსირებული დეფექტები (დაზიანებები) შენობის ნაკვეთურების დღეისთვის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მათი მდგრადობისთვის საფრთხის შემცველი არ არის. თუმცა **საჭიროებენ დროულად აღმოფხვრას მდგომარეობის გაუარესებასა და სეისმიური დატვირთების ზემოქმედების შემთხვევაში საფრთხის თავიდან ასაცილებლად.**“ მართალია, სკოლამ ვიზიტის დროს, ექსპერტთა რჩევით, დაიწყო მოქმედება ამ პრობლემების მოსაგვარებლად (დასკვნა ვიზიტამდე 2 კვირის წინ იყო მიღებული), გააგზავნა წერილი (MES 5 26 0000398868, 02.04.2026) ადგილობრივ რესურსცენტრში, შუამდგომლობის თხოვნით, რომლითაც ატყობინებს დასკვნაში დაფიქსირებულ, ზემოთ აღწერილ მდგომარეობას და წერილის ბოლოს ასეთი მინაწერია: „გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ შესაბამის უწყებასთან“, მაგრამ ასეთი მოთხოვნა ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია. საჭიროა სკოლამ გადადგას უფრო ქმედითი და კონკრეტული ნაბიჯები: განისაზღვროს აქტივიბათა გეგმა; ჩატარდეს კვლევა იმ 5 სარეაბილიტაციო სამუშაოს შესასრულებად (როგორც ეს დასკვნაშია მითითებული) და სხვა სპეციფიკური სამუშაოები, რომლებიც დარგის სპეციალისტების ჩართვით უნდა განისაზღვროს. გამომდინარე ყოველივე ზემოთ აღნიშნულისგან **ინდიკატორის ამ ნაწილის მოთხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება**.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა სკოლის წერილი (MES 5 26 0000403465, 03.04.2026), რომელიც გაგზავნილია საქართველოს ინფრასტრუქტურის და განვითარების სამინისტროში (წერილში ასეა მოხსენიებული სამინისტრო), ასლი განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელშიც სკოლა ითხოვს დახმარებას ზემოთაღნიშნულ დასკვნაში დაფიქსირებული პრობლემების მოსაგვარებლად. მსგავსი წერილი (MES 8 26 0000406708, 06.04.2026), გააგზავნა ქარელის რესურსცენტრმაც ანალოგიური თხოვნით ორივე სამინისტროსთან. აღნიშნულ წერილებზე ჯერ განათლების სამინისტრო (MES 1 26 0000432487, 15.04.2026) და შემდეგ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (MOI-MDF N2093-გ) მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ მათ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარელის N3 სკოლა ჩასმული ჰყავთ პრიორეტიტულ სკოლების ნუსხაში და, რომ ამჟამად მუნიციპალური განვითარების ფონდში მიმდინარეობს სკოლასთან დაკავშირებული პირველად ინფორმაციისა და დოკუმენტების დამუშავება შემდგომში შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. ამასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობი უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნული ხარვეზის

მოგვარების პერიოდად სკოლას განსაზღვრული აქვს 2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი, რის გამოც ინდიკატორის ეს ნაწილი გადავა მეტწილ შესაბამისობაში და სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული, არაუმეტეს 12 თვის პერიოდში, უზრუნველყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის **დასკვნაში N000189426**, (17.03.2026) მითითებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექთანი. რუისის N3 შენობის პირველ სართულზე, როგორც ეს რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით და მისი მოთხოვნათა დაცვით, განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სათანადოდ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების წესი“ . ექთანი აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების, გახარჯული და ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს. სკოლას ჰყავს მანდატური. შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო, განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები (N1/კ-01, 17.02.2026).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

“ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

უზრუნველყოფაა". რადგან სკოლა ახორციელებს ამ ბრძანების მოთხოვნებს, შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი" (N2-84, 26.12.2025), სადაც გაწერილია სკოლის შენობის რა ნაწილი (საკლასო ოთეხები, დერეფნები, მოაჯირები, ფანჯრები, სველი წერტილები და ა.შ.) როგორ მუშავდება, რა წესით, ვადები, გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებები და სხვა. სკოლის ექთანი აკონტროლებს და ატარებს მონიტორინგს კლასების დერეფნების, სველი წერტილების სისუფთავის შემოწმებაზე. მან ინტერვიუს დროს ისაუბრა, რომ კონტროლს უწევს დამლაგებლების მიერ შენობის დასუფთავების პროცესს და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი'' (02.04.2026, NN2-19) და სკოლის მიმართვის საფუძველზე ქარელის რესურსცენტრმა სკოლას გამოუყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ქარელის რესურსცენტრის უფროსის ბრძანება MES 8 25 0000325682, 24.03.2025). დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი (N1/კ-05, 25.03.2026). სკოლას მოპოვებული აქვს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების თანხმობები პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე. გაგზავნილი აქვს წერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში, რომელსაც სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია მიაწოდა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

მართალია სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც გარკვეულწილად ინფორმაციის დაცის ერთ-ერთი ნაწილი იყოს, მაგრამ სკოლა ვერ წარმოადგინა მის ხელთ არსებულ ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, ისეთის როგორებიც შეიძლება იყოს მაგალითად ანტივირუსული პროგრამების უზრუნველყოფა; ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება; დაცული ვებგვერდების გამოყენება; მშობლებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ინფორმაციული უსაფრთხოების

საკითხებზე და სხვა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლას გააჩნდეს ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები. ამის გამო, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო არგუმენტირებული პოზიციის გამოგზავნამდე.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა 2026 წლის 3 აპრილის MES 7 26 ბა N1/კ-05 ბრძანება „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ და თვით ეს დოკუმენტი, რომელიც აღწერს ინფორმაციის დაცვის პრინციპებს; ინფორმაციის დამუშავებას; დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს და იმფორმაციის დაცვას, მათ შორის ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას. ასევე ინფორმაციის დაცვის მონიტორინგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას დამტკიცებული ჰყავს მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებს მომავალ მუშაობაში. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **სკოლას ეძლევა რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებაზე უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- „სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N 535
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

- მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მსობლების პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანხმობები;
- ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი''
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირების შესახებ;
- ექთნის პირადი საქმე;
- დამლაგებლების ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და მათი საქმიანობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს შენობაში, რომლის მესაკუთრეა სახელმწიფო და სკოლას გადაცემული აქვს არსებობის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი 68.15.48.000.007) სკოლის შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 3688 კვ.მ.-ია, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართი 8146,00 კვ.მ.

სკოლის შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე არის საკლასო ოთახები, მანდატურის ოთახი, ექთნის კაბინეტი, კვების ბლოკი, რესურს ოთახი, სველი წერტილები, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული საპირფარეშო, სპორტული დარბაზი. მეორე სართულზე არის საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი. მესამე სართულზე - საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კაბინეტი. სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსიც. სკოლას აქვს მერხებისა და სკამების სათანადო რაოდენობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი და სხვა), მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი (ბრძანება N2-81, 19.12.2025). რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალური რესურსების სარგებლობის ძირითადი პრინციპია თანაბარი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, აქვს ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი აღწერილია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ორი სახისაა, ერთი საკუთრივ სკოლის წიგნადი ფონდია რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და საინვენტარო წიგნში აღწერილია 2241 ერთეული, ხოლო მეორე ნაწილი წიგნადი ფონდისა 2011 წელს გადაცემულია ქარელის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიდან. გადაცემის დროს არ არის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი (გადაცემაც მხოლოდ წიგნების ბიბლიოთეკაში არსებობით და სკოლის წარმომადგენელთა ზეპირი განაცხადით დასტურდება) სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ ქარელის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო საინვენტარიზაციო კომისიის აქტი, რომელშიც მითითებულია 6890 ერთეული წიგნი, საერთო ფასით 14318,78

ლარი. ეს მეორე ნაწილი წიგნებისა არც საინვენტარო წიგნშია აღწერილი, არც საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული მიუხედავად ამისა, წიგნები აყვანილია სკოლის ბალანსზე ზემოთ აღნიშნული თანხით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წიგნი, მათ შორის გადაცემულიც, დალაგებულია ანბანური წესით. **სკოლას ეძლევა რჩევა: დაამუშავოს ბიბლიოთეკისთვის გადაცემული წიგნადი ფონდი საბიბლიოთეკი წესის შესაბამისად, აღრიცხოს და გაატაროს საინვენტარო წიგნში.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ფოტოები და ექსელის ფაილი, საიდანაც ჩანს, რომ სკოლას დაწყებული აქვს წიგნადი ფონდის დამუშავების სამუშაოები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა მეტწილად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, რუისის N3 შენობას მოწყობილი აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად, მეორე და მესამე სართულზე ასასვლელად არ არის რაიმე საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ეტლით მოსარგებლისთვის გადაადგილება. პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. ასევე პირველ სართულზე არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ, ინდიკატორი 3.4.1.1. აღწერა) სკოლამ გამოაგზავნა ორი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მეორედ გამოგზავნილ გეგმაში პანდუსის მოწყობის აქტივობის პერიოდად განსაზღვრულია 20.01.2026-20.01.2027 პერიოდი, რითაც განისაზღვრა შესაბამისობი ტიპი - მეტწილობა. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია** აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა კიდევ ერთი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ამ აქტივობის მოგვარების პერიოდად განსაზღვრულია 2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი, ამასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიაში გაგზავნილი წერილი (03.04.2026, MES 2 26 0000403237) რომელშიც სთხოვს დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვისთვის საჭირო პანდუსის მოწყობას და სხვა პრობლემის მოგვარებისთვის, რაზეც მერია პასუხობს წერილით (წერილის ნომერი 104-1042611810, 28.04.2026), რომელშიც მერია ატყობინებს, რომ „2026 წელს ქარელის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად, ქარელის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პირველ ეტაპზე გამოკვეთილი სამუშაოების განსახორციელებელად საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ გამოიკვეთება გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში მორჩენილი ეკონომიები, რის შემდგომაც გათვალისწინებული იქნება თქვენი სკოლისთვის მოსაგვარებელი საკითხები 2026-2027 საბიუჯეტო წლებში“. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა რჩება მეტწილად შესაბამისად, ამასთან სკოლას

ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული, არაუმეტეს 12 თვის პერიოდში, სკოლაში უზრუნველყოს პანდუსის ან/და ლიფტის მოწყობა.
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. სკოლა აქვს პრაქტიკა სააქტო დარბაზში შეხვდეს საზოგადოების წარმატებულ წარმომადგენლებს, საზოგადოებაში მიმდინარე აქტუალური პროცესების წარმომადგენლებს და სხვა. სკოლის დირექტორმა გაიხსენა უკანასკნელი შეხვედრა აქეოლოგებთან, რომელთა სკოლასი მოწვევის მიზეზი გახდა სკოლის მიმდებარედ, ქარის გენერატორების დამონტაჟების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები. არქეოლოგებმა მოსწავლეებს ესაუბრეს აღმოჩენილის მნიშვნელობაზე. ასევე ერთ-ერთი ბოლო შეხვედრსა იყო გიორგი ანწუხელიძის შესახებ დაწერილი წიგნის ავტორთან. კალიგრაფიის სპეციალისტის მიერ ჩატარებული მასტერკლასი „ანბანით ნახატების გაფორმება“.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 68.15.48.000.007);
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- საინვენტარო წიგნი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის 15 კომპიუტერი მუშა მდგომარეობაში, 38 ახალი ლეპტოპი, 1 პროექტორი, 3 პრინტერი. კომპიუტერებიდან კომპიუტერულ ტექნოლოგიების ლაბორატორიაში განთავსებულია 20 ლეპტოპი, დანარჩენი კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში და ადმინისტარციის კაბინეტებში. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად ხელს უწყობს ადმინისტარაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. წესის მიხედვით მიხედვით IT კაბინეტის სარგებლობის ძირითადი პრინციპებიდან აღსანიშნავია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დოკუმენტში განმარტებულია რა უფლება აქვს მოსწავლეს მასწავლებელს და სკოლის სხვა თანამშრომელს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისას და რა ეკრძალებათ. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც ასევე განსაზღვრულია სამუშაო სივრცეები მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის ცალ-ცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი;
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2450

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების დებულება“ (ბრძანება N2-68, 18.11.2025), რომელიც კანონის შესაბამისია. დოკუმენტით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული; ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. აღწერილია თითოეული ტიპის დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტები, რეგისტრაციის ვადები და სხვა თავისებურებები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო **eschool.emis.ge** სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N3 საჯარო სკოლა”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი,

მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად, სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის, სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლის „ერთიანი საქმისწარმოების დებულება“;;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ (N2-83,ნ19.12.2025). სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც სკოლის შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციაა ასახული. ვებ-გვერდზე ასევე არის ინფორმაცია სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ (მითითებულია სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი). მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად ამასთან ერთად, გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელის ჯგუფები, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა, დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის თანხვედრით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის მართვისა და დაგეგმვის პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული გარე და შიდა დაინტერესებულ მხარეებთან და მათგან მიღებულ უკუკავშირებზე. ასევე, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის მე-4 მუხლის მიხედვით, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამხმარე პროცესად არის მიჩნეული, რაც ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი შეფასებისას გასცემს რეკომენდაციებს, რომლებიც ხშირად ეფუძნება პროცესში მონაწილე პირთა ინტერვიუირებასა და უკუკავშირს. გარდა ამისა, „პერსონალის მართვის დოკუმენტის“ (მუხლი 12, პუნქტი 1.2) მიხედვით სკოლა ახორციელებს „ორგანიზაციული კლიმატის კვლევას“ (ანონიმური კითხვარების მეშვეობით). კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება მოხდეს „მართვის მექანიზმების, სამუშაო გარემოსა და პირობების, სხვადასხვა პროცედურების

გადახედვა“, რაც ხარისხის გაუმჯობესების პირდაპირი მცდელობაა. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აქტიურად იყენებს საზოგადოების კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და სხვა. თუმცა, იმის გამო, რომ სკოლას ვიზიტის მიმდინარე წელს აქვს დაწყებული სტრატეგიული 7 წლიანი პერიოდი, ბუნებრივია, ჯერ არ აქვს გაკეთებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები/ანგარიშები და ჯერ არ არის ვებ გვერდზე ასახული.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი;

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის მართვის დოკუმენტი;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2450

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. ბიუჯეტი ვებ-გვერდზეცაა ატვირთული. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრულია სამოქმედო გეგმში გათვალისწინებული შესყიდვები. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის

შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცებული შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის გარანტიას. მოსწავლეთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია იმ ღონისძიებებით, რომლებსაც სკოლა ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დასაცავად. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოების აქტიურ ფუნქციონირებას, ასევე შინაგანაწესის დაცვის ეფექტიან კონტროლს. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და მათი უზრუნველყოფის ძირითადი შიდა სასკოლო დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ასახავს სკოლის საზოგადოების საჭიროებებს, ითვალისწინებს სკოლის ინტერესებს. შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობას და განათლების უფლების ეფექტიან რეალიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას, მათ შორის საინფორმაციო დაფას, რომელზეც გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა ასახული შინაგანაწესში, რის საფუძველზეც მოსწავლეები მის გაცნობის პროცესში სრულყოფილად ეცნობიან როგორც წესებს, ისე შესაძლო პასუხისმგებლობებს. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია როგორც საინფორმაციო დაფაზე, ისე სკოლის პორტალზე. ასევე საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილს იკავებს ამონარიდები შინაგანაწესიდან. სკოლის მიერ, დამრიგებლების მეშვეობით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესისა და უსაფრთხოების ნორმების შესახებ. კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით. სკოლა ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის

საფუძვლებს. აღსანიშნავია, სკოლა მუდმივად ზრუნავს ინფორმაციის გამჭვირვალობაზე, კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალურ ჩართულობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის დირექტორი სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული ახლადჩარიცხული მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებენ ხელშეკრულებას და უზრუნველყოფენ მასში გათვალისწინებული ყველა პუნქტის სრულყოფილად გაცნობას. აღნიშნული მოიცავს მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე სკოლის პასუხისმგებლობებს. ხელშეკრულება ფორმდება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სკოლის, მოსწავლისა და მშობლის უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასევე შინაგანაწესის გაცნობისა და მისი დაცვის ვალდებულება. ამასთან, კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა მშობლისგან იღებს დამატებით წერილობით თანხმობას, რომლის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია მოსწავლის ფოტომასალის განთავსება სკოლის ოფიციალურ სოციალურ პლატფორმებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრანება;
- უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირის გეგმა და ოქმები;
- სადამრიგებლო ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- დისციპლინარული კომიტეტის შექმნის ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ჩარიცხვა, ამორიცხვა და მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად არის განსაზღვრული სკოლის სასწავლო გეგმაში. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, რომელიც მოიცავს პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პროცედურებს და ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის საჭირო სპეციფიკურ მხარდაჭერას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული როგორც მშობლები, ასევე სკოლის ადმინისტრაცია, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიურ, მშვიდ, პოზიტიურ და ეფექტურ მიმდინარეობას. სასწავლო პროცესის დაწყებისას, მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია საფეხურის დაძლევის მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;

ბ) მოსწავლეთა მობილობა;

გ) საფეხურის დაძლევა;

პირველ კლასში მიღება ხორციელდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ეტაპების მიხედვით, პრიორიტეტის დაცვით, ხოლო ჩარიცხვა ხდება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება დადგენილი წესით, ხოლო მისი აღდგენა და მობილობა — შესაბამისი განცხადების საფუძველზე, კანონით განსაზღვრული ვადების დაცვით ყველა პროცედურა აღირიცხება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საჯარო ხელმისაწვდომობას ყველა იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ეხება სასწავლო პროცესს, მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებსა და მათ სპეციფიკას, ასევე დამატებით მომსახურებებსა და მათ საფასურებს (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკასა და მოსწავლეთა მოსალოდნელ ქცევას. აღნიშნული ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. სკოლის მიზანია, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს—მშობლებს, მოსწავლეებს და სხვა სასკოლო საზოგადოებას—ჰქონდეს სრული წარმოდგენა სასწავლო გარემოს, სასწავლო პროცესისა და დამატებითი სასწავლო აქტივობების შესახებ. ამისთვის სკოლა უზრუნველყოფს, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი: ეს მოიცავს სასწავლო გეგმას, პროგრამებს, სემესტრული შეფასების კრიტერიუმებს, ექსტერნის წესით გამოცდების შესაძლებლობებს და სხვა საგანმანათლებლო სერვისებს. კლასის დამრიგებლის მოვალეობაა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია როგორც ექსტერნის წესით საგნის გამოცდის გავლაზე, ასევე სემესტრული ნიშნის გაუმჯობესების შესაძლებლობების შესახებ. სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს მოსწავლეთა მხარდასაჭერად. მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით შექმნილი სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები ყოველწლიურად მონაწილეობენ კონკურსებსა და სახვადასხვა ღონისძიებებში. მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ. /facebook გვერდზე, და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ კანონმდებლობას შეესაბამება, არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას. მეხუთე კლასში მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობელთა კრებაზე, მშობელთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ხოლო საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნები წინასწარ არის ცნობილი და მოსწავლეები არჩევანს დამოუკიდებლად აკეთებენ. მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში ფუნქციონირებს აქტიურად, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით, დემოკრატიული, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული წესით. თვითმმართველობა ახორციელებს აქტივობებს მკაფიო გეგმისა და მიზნების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობას. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლაში ხორციელდება პროექტი „წიგნიერების ამაღლება მოსწავლეებში“, ჩატარდა ამხანაგური თამაშები, მათ შორის ფეხბურთი მეზობელი სკოლის მოსწავლეებთან, ასევე სკოლამ მიიღო მონაწილეობა მცირე საგრანტო კონკურსში (თამაზ ბექაიას ფონდი) და გადავიდა მეორე ეტაპზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ბრძანებები;
- მოსწავლეთა პირადი საქმე;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- საზოგ. ურთიერთობის წესი;
- მეორე უცხო ენის არჩევის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადაპტაციის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ახალ მოსწავლეს როგორც ტიპიურს, ისე სსსმ მოსწავლეებს — სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში საჭირო მხარდაჭერით. მოსწავლის სკოლაში პირველად მისვლისთანავე იწყება ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ახალ გარემოს გაცნობას, შესაძლო სირთულეების აღქმას და ადაპტაციის თანმიმდევრულ მხარდაჭერას. სასკოლო გარემოსადმი ადაპტაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებელი და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელი. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ორგანიზებულია შეხვედრა მომავალ პირველკლასელებთან და მათი მშობლებთან, რომლის მიზანია მოსწავლეების ინფორმირება სასკოლო გარემოს მახასიათებლების, შიდა წესრიგის და ადაპტაციის ეტაპების შესახებ. აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს ადაპტაციის ინტეგრირებულ სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის უსაფრთხო გამოცდილებას ახალ სასწავლო სივრცეში და ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენასა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას. სკოლა ყველა ახალ მოსწავლეს, მათ შორის პირველკლასელებსა და სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეებს, უწევს შესაბამის მხარდაჭერას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს და აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებისა და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ, რომელსაც უზიარებს საგნის მასწავლებლებს. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკისა და

შემუშავებული მექანიზმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ეფექტიანად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს აკადემიურ მხარდაჭერას მაშინ, როდესაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები იჩენს თავს. ვიზიტის პროცესში ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს მოსწავლეთა მხარდაჭერის არსებული მექანიზმები. სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა დასახმარებლად სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი წესი, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი დახმარების ფორმებსა და პროცედურებს. ასევე, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრთან. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაციები, ხოლო მასწავლებლები და სკოლის დირექცია ჩართულნი არიან ყველა იმ აქტივობაში, რომელიც უკავშირდება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და მათი საჭიროებების გამოვლენას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უფრო ინტენსიურად და მიზანმიმართულად დანერგოს რემედიაციის მიდგომა სასწავლო პროცესში, სასურველია პროგრამა მოიცავდეს მიზანმიმართულ და სტრუქტურირებულ აქტივობებს, რომლებიც მიმართული იქნება საბაზისო ცოდნის გამყარებასა და კონკრეტული სირთულეების ეტაპობრივად დაძლევაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა გონივრულ ვადებში კანონმდებლობის წესის დაცვით ყოველთვის გამოხატავს მოსწავლეების მიმართ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას რაც მოიცავს როგორც აკადემიური პროცესების ორგანიზებას, ასევე შესაბამისი ინფორმაციის დროულ მიწოდებას. მოსწავლე და მისი მშობელი სრულად და დროულად არიან ინფორმირებული სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესებისა და ვადების შესახებ, რაც ხელს უწყობს მათი ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას. სკოლაში დანერგილი ელექტრონული ჟურნალი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მშობლებისთვის. მისი საშუალებით მშობელს შეუძლია მუდმივად ადევნოს თვალი მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს, შეფასებებსა და დასწრებას. ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია დაგეგმილი გამოცდების, შესრულებული და შესასრულებელი საშინაო დავალებების შესახებ. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მიღებას, რაც მშობელს საშუალებას აძლევს გააანალიზოს მოსწავლის პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში დროულად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. მშობელსა და

მასწავლებელს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ოპერატიულად და ეფექტურად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის სწრაფ და ზუსტ მიმოცვლას. ეს ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ისე ქცევითი საკითხების დროულად იდენტიფიცირებასა და მოგვარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, აქტიურად უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებას. აღნიშნული აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების, მათი ინტერესების გაღრმავებისა და შემოქმედებითი, სოციალური და პრაქტიკული უნარების გაძლიერებისკენ. სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, ხელს უწყობს მათ მიერ წამოწყებული იდეების განხორციელებას და ქმნის გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი.ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების წრეები, მათ შორის მათემატიკის დამატებითი კურსი (დ/კ) და მუსიკის წრე, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების გაღრმავებასა და შესაბამისი უნარების განვითარებას. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს როგორც აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას, ასევე შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. გარდა ამისა, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები აქტიურად ახორციელებენ საგანმანათლებლო პროექტებს, როგორიცაა „წიგნიერების ამაღლება მოსწავლეებში“ და „მირანდას უფლებები“. ეს პროექტები მიზნად ისახავს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, სამართლებრივი კულტურის ფორმირებასა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი სკოლის ცხოვრებაში. მათი ინიციატივით სკოლამ მონაწილეობა მიიღო თამაზ ბექაიას საგრანტო კონკურსში, სადაც წარმატებით გადალახა პირველი ეტაპი და გადავიდა მეორე ეტაპზე. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს მოსწავლეთა ჩართულობაზე, პასუხისმგებლობის მაღალ დონესა და იმ უნარებზე, რომლებიც მათ დამოუკიდებელი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში ეხმარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ მშობლების, მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი არის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. ამ მიზნით, სკოლამ უკვე ჩაატარა კვლევები, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა

როგორც ძლიერი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებები. ამ ეტაპზე დაინტერესებულ პირებთან უკუკავშირი განხორციელდა წერილობით. კითხვარიდან იკვეთება მოსწავლეთა ინტერესები, რომელთა გათვალისწინება მოხდება მომავალში დაგეგმილ წრის მუშაობაში. ამასთან, სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ უკვე განხორციელებული აქტივობებით და მომავალშიც გეგმავს მსგავსი პრაქტიკის გაგრძელებასა და განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანზიციის პროგრამა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- ხარისხის უზრ. მექანიზმი;
- არაფორმალური განათლების აქტივობების ამსახველი დოკუმენტი-მემორანდუმი;
- საგრანტო პროექტის გეგმა- თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის;
- მუსიკის წრის მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ცდილობს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის შექმნას მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობი გარემო. სასწავლო პროცესის პარალელურად, სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე და კარიერულ განვითარებაზე. ამ მიზნით, პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ, გაეცნონ სწავლის პირობებსა და პერსპექტივებს, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი მომავალი არჩევანის სწორად განსაზღვრაში. გარდა ამისა, სკოლა თანამშრომლობდა კოლეჯ „განთიადთან“ და გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მოსწავლეებს

შესაძლებლობა ჰქონდათ, სკოლის ბაზაზევე დაუფლებოდნენ სხვადასხვა პრაქტიკულ პროფესიას. სწავლება მიმდინარეობდა ორ მიმართულებაზე — ჭრა-კერვასა და ზეინკლობაზე. ეს ინიციატივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლეებს აღარ უწევდათ სკოლის ან საცხოვრებელი ადგილის დატოვება პროფესიული განათლების მისაღებად — ისინი ადგილზე ეუფლებოდნენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებს. ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამა შეჩერებულია, თუმცა სკოლა აქტიურად ელოდება მისი განახლების შესაძლებლობას, რათა კვლავ შეძლოს მოსწავლეთათვის პრაქტიკულ და მოთხოვნად პროფესიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

კარიერული განვითარების პროგრამის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებს, ინტერესებს, უნარებს და უზრუნველყოფს ამ პროცესში მშობლების ჩართულობას. სკოლა აპირებს მომავალში განაახლოს თანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯთან.

რჩევა: სასურველია კარიერული განვითარების პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესება სხვადასხვა დამატებითი აქტივობის დანერგვით. გაფართოვდეს თანამშრომლობა როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს სასწავლებლებთან, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო მრავალფეროვან გარემოში გაეცნონ სხვადასხვა პროფესიას. პრაქტიკული აქტივობების, ან მოკლევადიანი პრაქტიკული კურსების დანერგვა მნიშვნელოვნად გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს რეალური სამუშაო გარემოს უკეთ გააზრებას. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენებაც — ონლაინ პლატფორმები, ვირტუალური ტურები და დისტანციური შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას. გარდა ამისა, სასურველია მშობლების ინფორმირებულობის ამაღლება სპეციალური ტრენინგებისა და შეხვედრების საშუალებით, რათა მათ უფრო ეფექტურად შეძლონ შვილების მხარდაჭერა პროფესიული არჩევანის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უკვე გაწეული საქმიანობის შედეგების ანალიზს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ მიღებული გამოცდილება და

უკუკავშირი გახდეს საფუძველი მომავალში უფრო ეფექტური და მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმისთვის. ამ პროცესში სკოლა აფასებს როგორც მოსწავლეთა მიღწევებს, ისე მათი ჩართულობის ხარისხს, რაც ეხმარება საჭიროებების უკეთ გააზრებასა და შესაბამისი პროგრამების განვითარებას. სკოლა გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, აპირებს განაახლოს მემორანდუმი კოლეჯ ,,განთიადთან", რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს პროფორიენტაციის პროგრამა, გაფართოვდეს მოსწავლეთათვის შეთავაზებული შესაძლებლობები და მათ ჰქონდეთ მეტი წვდომა პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიულ კოლეჯთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტი-მემორანდუმი;
- ფოტომასალა-მუშა პროცესი;
- სტუმრად კოლეჯში-ფოტომასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ირიცხება 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე მოსწავლე, რომელთაც ემსახურება 2 სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ინკლუზიური განათლების მიმართულება სისტემურად არის ორგანიზებული და ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს გეგმის შექმნის, განხორციელებისა და შეფასების წესებს. ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს საჭირო აქტივობებს, რესურსების განაწილებასა და

პასუხისმგებელ პირებს. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლის საჭიროებების შეფასებაზე, მიზნების განსაზღვრასა და სწავლების პროცესის დაგეგმვაზე. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც რეგულარულად აკვირდება გეგმის შესრულებას და აფასებს მიღწეულ შედეგებს. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია მრავალპროფილური გუნდი: სპეციალური მასწავლებლების გარდა სკოლას ასევე ჰყავს ენისა და მეტყველების თერაპევტი და სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ მოსწავლეების აკადემიურ, კომუნიკაციურ და სოციალური უნარების განვითარებას. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება ძირითადად ხორციელდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეების შემთხვევაში. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, შეფასება ეფუძნება მათ მიერ ისგ-ში განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონეს. სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გამოთვლა სსსმ მოსწავლეებისთვისაც ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის თანასწორობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ეს გულისხმობს ინკლუზიური სწავლების პროცესში სკოლის ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი, უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებასა და სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობაზე ერთობლივად ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, პერსონალური ასისტენტი, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები და თავად მოსწავლეები. სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით ტარდება სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი და განმავითარებელი აქტივობები.

ინიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ გეგმები;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს ფუნქციონირებს სასადილო (კვების ბლოკი), რომელიც სკოლას იჯარით აქვს გადაცემული. მეიჯარეს კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის მოპოვებული აქვს „HACCP“ ხარისხის სერტიფიკატი, რაც ადასტურებს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის არსებობას. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან, სადაც მითითებულია იჯარით აღებულ ფართში შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლება, ასევე წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება და კვების ობიექტის შიდა მონიტორინგის მასალები და წარმოდგენილია სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის კვების ხელმისაწვდომობას და ქმნის კომფორტულ გარემოს სასწავლო დღის განმავლობაში. სკოლა ცდილობს, საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენოს

მრავალფეროვანი მიდგომები. სხვადასხვა საგნებში თემების შესწავლისას ეწყობა სასწავლო ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ და განიმტკიცონ მიღებული ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე. ექსკურსიებში მონაწილეობა მოსწავლეებისთვის ნებაყოფლობითია. ინფორმაცია თანაბრად მიეწოდებათ მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს, რათა მათ განაცხადონ თანხმობა ბავშვების ექსკურსიაზე წაყვანის შესახებ ან სურვილის შემთხვევაში თავადაც გაყვნენ მათ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დაცულია დადგენილი მინიმალური სტანდარტები და ჰიგიენური ნორმები. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. გასვლითი ექსკურსიები ორგანიზებულია პასუხისმგებლობით — ტრანსპორტირება ხორციელდება გამოცდილი მძღოლების მიერ, ხოლო გამოყენებული ტრანსპორტი არის ტექნიკურად გამართული და მოსწავლეთათვის მაქსიმალურად კომფორტული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკულებები;
- განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა, ფართის გაიჯარების შესახებ;
- ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ფართის გაიჯარების შესახებ;
- კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- კვების ობიექტის შეფასების აქტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში შემუშავებულია სამივე საფეხურისთვის შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფექტურად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. კათედრის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმები მოიცავს მეთოდოლოგიურ ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგების მიღწევას. შუალედური მიზნების მისაღწევად პრიორიტეტად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები და სტანდარტით გათვალისწინებული თემები, რაც უზრუნველყოფს, რომ მოსწავლემ საფეხურის ბოლოს შეძლოს შესაბამისი შედეგების მიღწევა და თითოეულ თემაში სამიზნე ცნებების გააზრება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია ქმნის საფუძველს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების სრულფასოვანი გათვალისწინებისთვის. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრებზე კურიკულუმის შემუშავების პროცესი კოლაბორაციულ ხასიათს ატარებს: მასწავლებლები წარმოადგენენ საკუთარ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად განიხილავენ იდეებს, იყენებენ პროფესიულ ცოდნასა და რესურსებს, იღებენ და გასცემენ უკუკავშირს, ითვალისწინებენ წინა წლების გამოცდილებას და შეთანხმების გზით აყალიბებენ კურიკულუმის საბოლოო ვერსიას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სკოლის სხვადასხვა წარმომადგენლის — მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადმინისტრაციის — ხედვები, საჭიროებები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას და პასუხობს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, რაც განაპირობებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას. შეთავაზებული კომპლექსური დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შინაგანი რესურსების გააქტიურებაზე, შინაგანი მოტივაციის გაზრდასა და სწავლის სტრატეგიების

განვითარებაზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა განწყობებს, ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ინტერესებს, ასევე აქტიურად ითვალისწინებენ მათგან მიღებულ უკუკავშირს. ამასთანავე, მათ მიერ ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიები, დაგროვილი გამოცდილება, მიღებული მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შექმნისა და განხორციელების პროცესში აქტიურად არის ჩართული მთელი სასკოლო საზოგადოება, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას სკოლის რეალურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმში ასახულია საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის — მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადმინისტრაციის — ინტერესები და ხედვები. კურიკულუმის ჩარჩო განსაზღვრავს მის შემუშავებისთვის აუცილებელ ძირითად კომპონენტებს: მიმართულებებს, თემებს, ცნებებსა და ქვეცნებებს, ასევე კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს. ამ ჩარჩოზე დაყრდნობით, სამივე საფეხურზე, მასწავლებლები თანამშრომლობის საფუძველზე ქმნიან და ავითარებენ საგნობრივ კურიკულუმებს. თითოეულ კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, შესაბამისი დავალებები და სასწავლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების თანმიმდევრულ დაგეგმვას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგებისა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და მისი შემუშავება კოლეგიალური თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება. კურიკულუმი ერთობლივად არის შექმნილი საგნობრივი კათედრების ფარგლებში და განხილულია სხვა კათედრებთან თანამშრომლობით, ასევე პედაგოგიურ საბჭოსა და სამუშაო შეხვედრებზე. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის შეთანხმებას, გააზრებასა და ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სამივე საფეხურის კურიკულუმებში თემები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ქმნის მათი განვითარებისათვის შესაბამის საგანმანათლებლო გარემოს. კომპლექსური დავალებების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები მოიცავს სასკოლო

საზოგადოების ყველა ძირითად აქტორს — მასწავლებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლესა და მშობელს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საერთო ჩართულობას კურიკულუმის განხორციელების პროცესში. ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელების მიზნით სკოლა იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან საშუალებებს, მათ შორის სოციალურ ქსელებსა და კლასის დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა შეხვედრებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მშობლების ინფორმირებულობას და აყალიბებს სასკოლო კურიკულუმის მიმართ მიკუთვნებულობის განცდას სასკოლო საზოგადოებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- დიაგნოსტიუკური წერის ანალიზი;
- კათედრების ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმები;
- 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმების ანალიზმა და ინტერვიუების შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლის მიერ სამივე

	საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების პროცესზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სრულადაა ასახული სავალდებულო თემები და გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. კომპლექსური დავალებების სახით წარმოდგენილი შუალედური მიზნები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებლობა. **რჩევა 1. ბუნებისმეტყველების III და IV კლასის კურიკულუმები სასურველია თემები შეესაბამებოდეს, ბუნებისმეტყველების სტანდარტში მოცემულ სავალდებულო თემებს.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შემუშავებული კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. კურიკულუმში ასახულია სასწავლო მიზნები, თემატიკა და კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და მათ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმის სტრუქტურა ხელს უწყობს ცოდნის ეტაპობრივ განვითარებას და შედეგებზე ორიენტირებულ სწავლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი თემები შეადგენს საფეხურის შესაბამის თემატური ბლოკით განსაზღვრულ შინაარსებს. თემატური ერთეულების ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები და დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას, რითაც მიიღწევა ეფექტური სწავლა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), სამივე საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს

	საშუალებას ვთქვათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ე.ს.გ. მიხედვით). სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის მრავალფეროვანი და ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს იმას რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული სმაივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე , შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები

	ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დავალებებზე. კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს - სამიზნე ცნებები ლოგიკურადაა გადანაწილებული თემების მიხედვით და ფარავს სასწავლო წლისა და საფეხურის სრულ მოცულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდატებს. **რჩევა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი. ამ თემაზე პედაგოგებთან საუბრის დროსაც გამახვილდა ყურადღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს მათი აქტიური ჩართულობის, პრაქტიკული უნარებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გარდა ბუნებისმეტყველებისა. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები,

	შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, პედაგოგებმა გასაუბრებაზე დაგვიდასტურეს აღნიშნული. **რჩევა:** ბუნებისმეტყველებაში III-IV კლასის კურიკულუმში სასწავლო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. ასევე დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები სამივე საფეხურის ყველა კლასში სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს — სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პროდუქტის შექმნისა და პრობლემის გადაჭრის გზით), აგრეთვე გუნდური თანამშრომლობის უნარი. კურიკულუმებს თან ახლავს დავალების პირობები, შეფასების რუბრიკები და დამხმარე რესურსები. კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დოკუმენტაციის (კურიკულუმის ცხრილები, ინდივიდუალური გეგმები, სხდომის ოქმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების ბარათები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და სხვა) ანალიზი

	ადასტურებს სასწავლო პროგრამების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან. **რჩევა:** 1.II კლასის ბუნებისმეტყველება: მიზანშეწონილია საკითხების სვეტში მოცემული კომპლექსური დავალების იდეები გადავიდეს შესაბამის - დავალებების სვეტში. 2. საბაზო და საშუალო საფეხური ქიმისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში სასურველია დაკონკრეტდეს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს კონტექსტ-მაგალითების პირობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივად მიღწევის შესაძლებლობას. კურიკულუმში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას კონკრეტულ სასწავლო კონტექსტში. წარმოდგენილი სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მიზნობრივად დაგეგმვას და მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირებას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია კურიკულუმის ტექნიკური ნაწილის დაზუსტება, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მის შესაბამისობას სტანდარტთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით დგინდება, რომ განსაზღვრულია როგორც გრძელვადიანი, ასევე შუალედური მიზნები და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებთან.

	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** 1. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული 2. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში მკაფიოდ იქნეს წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების მიზნობრიობის უფრო ნათლად წარმოჩენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი ყველა კურიკულუმი გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით, ეყრდნობა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ თემატიკასა და ტექსტებს. სამივე საფეხურზე შეტანილია ისეთი დავალებები, რომლებიც ემსახურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ამას ადასტურებს მათ მიერ გადმოგზავნილი არაერთი დავალების პირობები ასევე გასაუბრების დროს პედაგოგებმა განიხილეს დავალებები, რომლებზეც იმუშავეს მათმა მოსწავლეებმა, აღწერეს დაწვრილებით დავალებებზე მუშაობის პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს/გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება და სიღმისეულად ააზრებინებს მასალას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში

	მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა.დავალებები და აქტივობები ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას ასევე გამოიკვთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული და ციფრული წიგნიერების განვითარებას, ტექნოლოგიების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი უნარების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ I- IV კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), ძირითადი და დამხმარე რესურსები, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. რესურსების ჩამონათვალში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოგაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები და შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** მიზანშეწონილია კურიკულუმის ცხრილებში აისახოს კვლევითი დავალებები, რომლებიც რეალურ ლაბორატორიულ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს. სასურველია, დოკუმენტაციას დაემატოს ამ დავალებებისთვის საჭირო სპეციფიკური რესურსები: ექსპერიმენტის ინსტრუქციები, რეაქტივებისა და ხელსაწყოების ნუსხა, მანიპულატივები და სხვა დამხმარე მასალები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მოიცავს როგორც ძირითად, ისე დამატებით საგანმანათლებლო მასალებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, შესაძლებელია რესურსების გამოყენების მეტად სისტემატიზაცია და მრავალფეროვნების გაზრდა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოებია. ამასთანავე კათედრას წამოდგენილი აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მასალები, რაც არსებით როლს ასრულებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის დონის შესაბამისი რესურსები, ეს კი ეხმარება მოსწავლეს უნარების განვითარებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და ვალიდირებულია სკოლის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ესთეტიკური აღზრდის საგნების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული/შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სამივე საფეხურზე სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და მოსწავლეთა ციფრული უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები და ციფრული პლატფორმები, როგორიცაა **school.emis.ge**, ასევე პროგრამირების და მოდელირების საგანმანათლებლო პლატფორმები - **scratch.mit.edu**, აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარების

	განვითარებას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის სარწმუნო საშუალებაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. პედაგოგები ავლენენ მაღალ მზაობასა და შესაბამის გამოცდილებას, რათა მოსწავლეებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი რესურსები შესთავაზონ. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირების პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული დავალებები ადასტურებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის ეფექტურ გამოცდილებას, სადაც სრულადაა გათვალისწინებული თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომები. კურიკულუმში ასახულია ისეთი აქტივობები და

	კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები.სასწავლო პროცესის დაგეგმვა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ჩართულობაზე და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.ამასთან, შესაძლებელია დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკის შემდგომი გაძლიერება და სისტემატიზაცია, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინკლუზიური გარემოს განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო გეგმებში არის გათვალისწინებული სხვადასხვა დონეზე და უნარებზე მორგებული დავალებები, ინდივიდუალური მხარდაჭერა და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. ეს ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრაციას და მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში იკვეთება, რომ შემუშავებული ინდივიდუალური სამუშაო გეგმები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე. აღნიშნული გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ეს გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებაში, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვაში და სწავლების მეთოდების ადაპტირებაში მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლის საჭიროებების, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის

	ჩართვის მიზნით მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ ესა თუ ის აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად ,რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება პირობის გართულება და პირიქით, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოედგინათ სხვადასხვა ფორმით , ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით , მაკეტით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც აისახოს ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც მასწავლებლები ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება

	დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. სწავლებისას გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებს. ინტერვიუში პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით იყენებს აქტივობებს, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობა, ხელს უწყობს დიფერენცირებას და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები და რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას. სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების სისტემა: მიზნები,

	პრინციპები და ამოცანები, ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ მოსწავლეები წინასწარ არიან გაცნობილი შეფასების კრიტერიუმებს, ამასთანავე აქტიურად მონაწილეობენ შეფასების პროცესშიც. კათედრის წევრები ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ვიზიტის პერიოდში უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის ასახული, თუ რომელი სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. **რჩევა**: სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები მიემართებოდეს თემატურ ერთეულებს და ზუსტ კოლერაციაში მოვიდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ჯგუფში შემავალ საგნებში შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას, კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ ანალიზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, როგორიცაა დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტული მუშაობისა და სხვა აქტივობების

	შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული რუბრიკები პედაგოგების მიერ სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დადასტურდა მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროსაც. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკების გამოყენება მათ ეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის უფრო ზუსტად განსაზღვრასა და ეფექტიანი უკუკავშირის მიწოდებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში პედაგოგები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ისინი თავადაც ერთვებიან შეფასების პროცესში. კათედრის წევრები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. სახელმწიფო ენის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები კონკრეტულია, მორგებულია საკითხს, მიემართება გრძელვადიან მიზანს. გასაუბრებაზე ასევე გაგვაცნეს რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთსეფასებას და თვითშეფასების მოდელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- კომპლექსური დავალების ბარათები,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,

- კათედრის სხდომის ოქმები,
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით.
- სასწავლო პროექტის გეგმები და ანგარიშები
- დამატებითი რესურსების ბანკი
- სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, პროგრამირების და მოდელირების საგანმანათლებლო პლატფორმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი კურიკულუმის სრული შესაბამისობით მიმდინარეობს. სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები მუშავდება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული კომპლექსური დავალებებითა და მრავალფეროვანი რესურსებით. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ თეორიულ სწავლებასთან ერთად, სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს. გარდა შემოქმედებითი პროდუქტების (მაგ: კედლის გაზეთები), ვიდეოგაკვეთილებისა და ციფრული სიმულაციებისა, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ: სადემონსტრაციო ექსპერიმენტებს, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ახორციელებენ გასვლით აქტივობებს (ვიზიტები აგარის შაქრის ქარხანასა და ექსპერიმენტორიუმში). აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და კვლევითი უნარების პრაქტიკულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პირველ და მეორე უცხოურ ენებში აქტივობები დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების და საკითხების შესაბამისად. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შემაჯამებელი დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერები, შუალედური მიზნები და რესურსები. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, დიფერენცირებულ მიდგომებსა და ინკლუზიურ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინტერესების გათვალისწინებას და მათი ციფრული უნარების ეფექტიან განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წარმოადგინეს და ისაუბრეს არაერთ პროდუქტზე, რაც მტკიცებულების სახით აქვთ შემონახული. ესენია ნაძერწები ბუნებისმეტყველებაში, ნახატები, პლაკატები. ამით დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და მოქნილობაზე. იგი ცდილობს დროულად შეამჩნიოს ცვლილებები, სწორად გააანალიზოს ისინი და შესაბამისად მოერგოს ახალ გამოწვევებს. სკოლა აქტიურად პასუხობს მოსწავლეების,

მასწავლებლებისა და საზოგადოების საჭიროებებს .სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს სრულფასოვანი ჩართულობის შესაძლებლობა. ეს მოიცავს განსხვავებული ტიპის დავალებებს, ინტერაქტიულ გაკვეთილებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და ინდივიდუალურ მხარდაჭერას. მოქნილობა ასევე ვლინდება კომუნიკაციაში — სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, უსმენს მათ მოსაზრებებს და საჭიროების შემთხვევაში ცვლის მიდგომებს. მასწავლებლები მუდმივად ვითარდებიან, ეცნობიან ახალ მეთოდებს და ნერგავენ გაუმჯობესებულ პრაქტიკებს. ეს ქმნის ნდობაზე დაფუძნებულ გარემოს, სადაც ყველა მხარე ერთიანდება საერთო მიზნის გარშემო — მოსწავლის წარმატების მიღწევაში. გარდა ამისა, სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც მოსწავლის ხმა მნიშვნელოვანია, მისი საჭიროებები გათვალისწინებულია და მისი წარმატება წარმოადგენს მთავარ პრიორიტეტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტები. როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან. ისინი ეფექტურად ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცილდება სასწავლო პროგრამის ჩარჩოებს. რუბრიკები ზუსტად ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელთა გაზომვაც არის დაგეგმილი, რაც იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **რჩევა:** უკეთესი იქნება რომ, ბიოლოგიის შემაჯამებლისთვის შეიქმნას ანალიტიკური რუბრიკა ნაცვლად ჰოლისტურისა (თითოეული დავალებისთვის შეფასების კრიტერიუმით, შესაბამისი აღწერილობით და მიეთითოს ქულა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მიმართულია როგორც შუალედურ, ისე გრძელვადიან მიზნებზე, რაც უზრუნველყოფს სისტემის ვალიდურობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ინდიკატორში წარმოდგენილ მოთხოვნებს. სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და ენობრივ უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათერის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ესთეტიკური აღზრდის საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელონება, მუსიკა) იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინსტრუმენტი არის ვალიდური-ფასდება ის, რისი შეფასებაც არის დაგეგმილი, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ აკრავენ რუბრიკებს საკლასო ოთახში, რათა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება რუბრიკაზე დაყრდნობით მოამზადოს დავალება. ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგი, არამედ სწავლის პროცესიც. ამიტომ მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების

	სახით წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეები ფასდებიან შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელებზეც ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად, დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს შემუშავებული შეფასების რუბრიკები, შეფასება ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომებს - პრაქტიკულ დავალებებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, ელექტრონულ აქტივობებს და ციფრულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას.

	მასწავლებელს ესმით, რომ წინასწარ უნდა აცნობონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რას ეფუძნება მათი შეფასება. რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების კონკრეტული, მიზნობრივი რუბრიკები რომელიც კონკრეტულ საკითხს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეთა მიღებული ქულები და შეფასებები არ რჩება მხოლოდ ერთპიროვნული გადაწყვეტილების დონეზე და მათი სიზუსტე კონტროლდება სხვადასხვა ეტაპზე. ეს სისტემა უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ საგნის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლებ. ამასთან, სკოლაში მოქმედებს გასაჩივრების მექანიზმიც, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, ეჭვის შემთხვევაში მოითხოვონ შეფასების გადახედვა და სამართლიანი შეფასების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა მხარდაჭერას. იგი აქტიურად უწყობს ხელს სწავლის პროცესს როგორც აკადემიური კონსულტაციებით, ასევე ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეებს ეძლევათ დამატებითი განმარტებები, დახმარება სირთულეების დაძლევაში და შესაძლებლობა, გაუმჯობესონ საკუთარი შედეგები. ამით სკოლა არა მხოლოდ აფასებს მიღწევებს, არამედ ქმნის მხარდამჭერ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის განვითარებას და წარმატებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

შეფასების მონაცემების აღრიცხვა და შენახვა ძირითადად ხორციელდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უფრო ორგანიზებულ, სწრაფ და უსაფრთხო მართვას. ელექტრონულ ჟურნალში სისტემურად აისახება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, შეფასებები, დავალებების შესრულების შედეგები და მასწავლებლის კომენტარები. ასეთი ფორმატი ამარტივებს მონაცემების მოძიებასა და ანალიზს, ამცირებს შეცდომების რისკს და უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ ხელმისაწვდომობას უფლებამოსილი პირებისთვის. ამასთანავე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით
- დიაგნოსტიკური წერის ამსახველი დოკუმენტაცია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყველა საგნის კურიკულუმში განსაზღვრულია როგორც სავალდებულო ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალები: ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები, ვიდეოგაკვეთილები და სხვა. აღნიშნული რესურსების ერთობლიობა ხელს უწყობს სასწავლო შედეგების ეფექტურ მიღწევას და ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. მასწავლებლები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით საგანმანათლებლო მასალებსა და ციფრულ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები როგორც კურიკულუმში, ასევე დამატებითი დოკუმენტის სახით. რესურსების გამოყენება დასტურდება საკლასო თუ სასკოლო აქტივობებთან მიმართებით , მათ შორის სასწავლო პროექტიების განხორციელებისას როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ და გერმანულ ენებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ლინკები) გასაუბრების

	შედეგად აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული / შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **რჩევა:** მიზანშეწონილია, მეათე-მეთერთმეტე კლასების კურიკულუმებში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს დამატებითი რესურსები (მათ შორის, ციფრული), რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, დესმოსს, ასევე თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს . შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს https://school.emis.ge/ ასევე იყენებენ დამხმარე დამატებითი რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებელი აქტიურად იყენებს და საჭიროებისამებრ იყენებენ რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, წლის დასაწყისში ხდება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსების (დამხმარე სახელმძღვანელოები, მათ შორის მასწავლებლის მიერ შექმნილი, ელექტრონული და მატერიალლური რესურსები) შერჩევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება საგნობრივი მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსების გამოყენება შეთანხმებულია საგნობრივ კათედრებზე, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და კათედრის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგინდება, რომ კათედრა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას და ასახავს კათედრის ოქმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწისში ირჩევს ძირითად თუ დამხმარე რესურსებს, არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ გარემოში მიზნობრივად, სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსებს მასწავლებლები არჩევენ კათედრაზე. გამოიყენება ისეთი მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტუობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებასა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს, ახორციელებენ ვალიდაციის პროცესს და ითვალისწინებენ რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად დაეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა არ ფიქსირდება განცალკევებული საპრეპარატო სივრცე. ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ლიმიტირებულია (წარმოდგენილია გარკვეული რაოდენობის რეაქტივები, ქიმიური ჭურჭელი, მიკროსკოპი და სხვა). ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, ლაბორატორია არ არის აღჭურვილი სპეციალიზებული გამწოვი სისტემითა და სველი წერტილებით. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამივე საბუნებისმეტყველო საგანში ტარდება ექსპერიმენტები, თუმცა ქიმიის მიმართულებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, ხორციელდება მხოლოდ მარტივი სადემონსტრაციო ცდები, ძირითადად ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალების გამოყენებით. საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მხოლოდ ვირტუალური ლაბორატორია და სადემონსტრაციო ცდები, სადაც მოსწავლე უშუალოდ ჩართული არ არის პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მისაღწევად საკმარისი არ არის. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული ვადები ლაბორატორიის ინფრასტრუქტურული მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რესურსებით აღჭურვისათვის. რჩევა: სასწავლო გარემოსა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სპეციალური გამწოვი კარადა ან ვენტილაციის სისტემა. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ვიზიტის დროს გადმოგზავნილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაში (20.01.2026-20.01.2027) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად მოწყობა და აღჭურვა**

	არგუმენტირებული პოციზიის ცენტრისთვის გამოგზავნილ დოკუმენტაციაში სკოლამ ხელახლა გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ლაბორატორიის მოწყობის სხვა პერიოდია მითითებული, კერძოდ 2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი), რადგან რიცხვები არ არის დაკონკრეტებული, არაუმეტეს 12 თვის პერიოდში, სკოლაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა. რაც შეეხება ინდიკატორის შესაბამისობის საკითხს, დარჩება იგივე, კერძოდ,* **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. **ხოლო დაწყებითი საფეხურისთვის დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. არსებული რესურსები შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს და მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უცხოურ ენებში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. ეს საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვლინდება რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ინტერნეტ რესურსებს, იყენებენ საკუთარ და მოსწავლეების შემოქმედებით უნარებს და ქმნიან რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა

	ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისად არის შედგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, რესურსებს ,რომლებიც აქვთ შექმნილი ან შეძენილი, იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის არის თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა, რომ რესურსების , ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა დანერგილია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ სასწავლო რესურსი (სათამაშო ინვენტარი). შეუძლიათ ყველა მოსწავლე იყოს დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, ზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში, გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების

	განვითარებას. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, ,სკოლის თვითსეფასების დოკუმენტიდან, სამოქმედო გეგმების კათედრული შეხვედრის ოქმების მიხედვით, ასევე გასაუბრების პროცესში ვლინდება, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. ეს ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის განხილვას დირექციასთან ერთად. შედეგების განხილვისას ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის რევიზირებას და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით ახდენენ. მასწავლებლები მოსწავლეების შედეგების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის კურიკულუმები

- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- კათედრის სხდომის ოქმები,
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, სკოლის თვითსეფასების დოკუმენტიდან, ასევე, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვლინდება, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვისას ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას და კურიკულუმში შეფასებისა და მონიტორინგის მდგრადი მექანიზმის უზუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიამართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებით, მასწვალებელთა პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა მიღწევების, შედეგების ანალიზი შემდეგ მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის მოგვარების გზებს, აღნიშნული პროცესი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგების გაუმჯობესება. ინტერვიურიების დროს მასწავლებლები აღნიშნეს, რომ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასების ანალიზი სამივე საფეხურზე ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაში, რომლის საფუძველზე კათედრა შევიმუშავებს პრიორიტეტულ და გრძელვადიან მიზნებზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდიფიცირებულ (გაუმჯობესებულ) კურიკულუმს. სწავლა-სწავლება ცოცხალი პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებასა და განახლებას მოითხოვს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სკოლაში ტარდება მონიტორინგი და მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება სამომავლოდ სამივე საფეხურის კურუკულუმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები, ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'
- სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

რადგან ყველა მოსწავლე განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით, სკოლა მათ სთავაზობს შეფასების ისეთ ფორმას, რომელიც მათ ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზეა მორგებული. ამისათვის იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ჩანაწერებს, დაკვირვებებს. მოსწავლის შესაფასებლად იყენებენ აგრეთვე მასწავლებლის დაკვირვებას, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციას. მათი ძირითადი მიზანია მოსწავლეს განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები და ამავე დროს მიიღოს

ინფორმაცია სასწავლო საჭიროების შესახებ. დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება სასწავლო პროცესის წარმართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმას, რომლის საშუალებითაც ამომწურავად ახერხებს მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებას, აფასებს ცოდნის დონეს, გაგება-გააზრების, შეფასების, მსჯელობის, არგუმენტაციის, დასკვნების გამოტანის უნარს, ნასწავლის ტრანსფერულ და შესწავლილი მასალის სინთეზის უნარებს. შეფასებისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი მზაობა და საჭიროებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა იყენებს მათ ინტერესებს. კომპლექსური დავალების შესრულების დროს მასწავლებლები აკვირდებიან, რა ტიპის დავალებამ გამოიწვია მეტი ინტერესი და ცდილობენ, რომ მომდევნო დავალება მსგავსი მისცენ, აღნიშნული ეხმარება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში და ამის საფუძველზე გეგმავენ მუშაობას ისე, რომ პრობლემა აღმოფხვრან. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. ყოველივე ამას აღნუსხავენ წერილობით დოკუმენტაციაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ინფორმაცია რაც მოსწავლეს უკავშირდება, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა შეფასების

ელემენტს. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს დიფერენცირებული სწავლისა და შეფასების მეთოდი. ამის მაგალითია სკოლაში წარმატებით დანერგილი ინკლუზიური განათლება. რომლის მიხედვითაც გამოკვლეული გვაქვს მოსწავლეთა შესაძლებლობები და სასწავლო პროცესს წარმართავენ შესაბამისად. ასევე მოსწავლეები ფასდება შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციისა და სხვა უნარების მიხედვით, რომლებით კრიტერიუმებათაა გატანილი შეფასების რუბრიკებში და მოსწავლეები ფასდებიან ყოველდღიურად. ამ ყველაფრის განხორციელებისათვის საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებელებთან. მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით ვალიდური შეფასება და კონსტრუქციული უკუკავშირი უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურუკულუმები;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;
- შემოქმედებითი დავალების შეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას გასული წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისას მიღწეული წარმატებისა და ხარვეზების შესახებ. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დაგეგმილია კურიკულუმის ანალიზი საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეიმუშავებენ ახალ წლიურ სამოქმედო გეგმას, რომლის ნაწილიც იქნება რევიზირებული, გადამუშავებული, სკოლის საჭიროებას მორგებული საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი დაგეგმილია წინა წლის გამოცდილებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში წარმატებით განხორციელდა კურიკულუმში გათვლილი პრიორიტეულ თემებს მორგებული კომპლექსური დავალებები, კურიკულუმების თემის შერჩევის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა არჩევანი, რათა უფრო ეფექტური და ინტერაქტიული გახდეს დანერგვის პირველ ეტაპზე წარმართული მუშაობა, სწორედ ამიტომ კურიკულუმის რევიზირების მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე, კათედრა შეიკრიბება, ერთობლივად იმუშავებენ კურიკულუმის

დახვეწაზე, კომპლექსური დავალებების ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების პროცესში მიღებული გამოცდილების ანალიზსა და გაზიარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- კათედრის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 06.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მარიამ ჭყონია

შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).